ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2842021

ნომერი: AR1439074

თარიღი : 09.09.2016

გაცემის თარიღი : 29.09.2016

გაცნობის თარიღი : 29.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ ჭიაურელის ქუჩა N9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ავალიშვილი პ/ნ 01018004484
- ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 17დ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 09/09/2016წ. №AR1439074 განაცხადით მომართეს გიორგი ავალიშვილმა და ჯამათა ჩარკვიანმა და მოითხოვეს ამავე

სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებით ქ. თბილისში, მიხეილ ჭიაურელის ქ. №9-ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.13.01.018.119) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 მარტიდან 2018 წლის 18 მარტის ჩათვლით. განმცხადებლის განმარტებით, 17/03/2016წ. №2488700 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ საცხოვრებელი, საოფისე და საერთო ფართობების მაჩვენებლები დაფიქსირებულია არასწორად. განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და საპროექტო გეგმები.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:2958,47; საოფისე ფართობი (კვ.მ).:893,87; საერთო ფართობი (კვ.მ).:5686,10;
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ასევე, შეთანხმებული საპროექტო გეგმები, გარდა სახურავის საპროექტო გეგმისა, ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ 09/09/2016წ. №AR1439074 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:2958,47; საოფისე ფართობი (კვ.მ).:893,87; საერთო ფართობი (კვ.მ).:5686,10; ასევე 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო გეგმები, გარდა სახურავის საპროექტო გეგმისა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 09/09/2016წ. №AR1439074 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო გეგმებით. სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 17/03/2016წ. №2488700 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.